ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 202
სეკდემბრის 22, კვირა 1902 წ.
1877

ივერია

№ 202
სეკდემბრის 22, კვირა 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ კვირას, 22 სეკდემბერს, ქვაშვეთის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება განსვენებულ

ავქსენტი ცაგარლის

სულის მოსახსენებლად ორმოცის წირვა და პანაშვიდი. პანაშვიდი დაიწყება დილის 11 საათზედ. (2—მ.—2)

საწყობი ქაღალდის

მოსკოვი. 1882 წ

დიტიატკოვსკის ამხანაგობის

ნოვგოროდი 1896წ.

საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტფილისში

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი და საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, აგრეთვე ალბომის ქაღალდი ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

მაღაზია საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად.**

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილისის საკომერციო ბანკისა.

ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.

ტელეფონი № 66. (30—ნ.—14)

მოსკოვი 1893

ს.-პეტერბურგი 1870

ნ.-ნოვგოროდი 1897

სავაჭრო სახლი

დონნერისა და ლეიტცისა

ტფილისი, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა, ტელეფონი № 145.

ჟირარდის მანუფაქტურების სააქციონერო საზოგადოებისა.

საწყობში მუდამ ბლომად არის ამოსარჩევად

ტილოსი, ბამბისა და წინდა-ჩულქის საქონელი.

ავეჯის გადასაკვრელი მატერიები, პორტიერები, ფარდები, ხალიჩები და იატაკის საფენები

საბნები მატყლისა და აბრეშუმისა.

საცვლები ქალისა და კაცისა

მზითევი.

მზადდება შეკვეთით საქონელი სახაზინო და კერძო დაწესებულებათათვის. დაწვრილებით პრეის-კურანტი მსურველს უფასოდ გაეგზავნება. ჟირარდის მანუფაქტურის საქონელი პარიჟის 1990 წ. მსოფლიო გამოფენაზედ ღირს იქმნა უმაღლესის ჯილდოსი Grand Prix-ისა.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჯ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ქ. ი. გძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არზანიტაძე. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ექიმი ალ. მალალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დე. წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

პ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. გ. ბარხუძოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

პ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 9—10 ს.

გრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტები3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

ნაფიცი ვექილი

გ. ი. გძელიშვილი

გადავიდა მიხეილის ქუჩაზედ, სახლი № 113.

ისყიდება იაფად

ვერაზედ, სათავად-აზნაურო სკოლის ახალ შენობის გვერდზედ, ორი ნაჭერი მამულისა. ერთი 264 და მეორე 623—საჟენი ფრიად ხელ-მისაცემის პირობით. ვერაზედვე ისყიდება ორი დიდი სახლი.

პირობის შეტყობა შეიძლება „ივერიის" რედაქციაში, დილის ათიდგან სამ საათამდე. (3—2)

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო

საზოგადოებისაგან

ბ-ნნთ წევრთ კავკასიის **საიმპერატორო** სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისათ, სოფლის მეურნეთა, მიწათ-მფლობელთა და საზოგადოდ ყველა იმათ, ვისაც საინტერესოდ აქვს სასოფლო მეურნეობის სხვა-და-სხვა საქმე და საგანი, მოვიწვევთ საზოგადოების საზოგადო კრების სხდომაზედ, რომელიც დანიშნულია სამშაბათს, 24 სეკდემბერს, საღამოს 8 საათზედ.

განსახილველი საგნები:

1. მიმდინარე საქმეები.
2. განხილვა განსაკუთრებულ ბჭობის პროგრამისა სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა შესახებ.

არა-წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ ამ კრებას. (2—ნ.—1)

თავად-აზნაურობის თეატრი

ტელეფონი № 617.

დღეს, კვირას, 22 სეკდემბერს,
ხარკოვის რუსულის ოპერის არტისტების
მიერ წარმოდგენილი იქნება

ორი ოპერა:

დილით, პირველი ყველასათვის ხელ-მისაწვდომი, იაფ-ფასიანი წარმოდგენა.

ფაუსტი

4 მოქმედებიანი და 5 სურათიანი ოპერა აპოთეოზით. მუს. გუნოსი.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: გაშინსკისა, დობრჟანსკისა, ბაუერი. ბ-ნნი: ლენსკი, სუპცევი, ჩემეზოვი, პეტროვი, და სხ.

დასაწყისი დილის 12 საათზედ.

საღამოს წარმოდგენილი იქნება

პიკის ქალი

(Пиковая дама)

3 მოქმ. და 7 სურათ. ოპერა ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ზორინისა, არციბაშევისა, კარამზინ-ჟუკოვსკისა, დობრჟანსკისა, სკორუპსკისა. ბ-ნნი: ბენაჩიჩი, სუპცევი, სერგიევი, კაზიმირიო, პეტროვი, ხარიდინი, სვობოდინი დი სხვა.

ბალეტს დასდგამს ბალეტმეისტერი **მენაბენი.** კაპელმეისტერი **შტეინბერგი.**

კასსა გაღებულია დილის 10 საათ. 3-მდის და საღამოს 6-დამ წარმოდგენის გათავებამდე.

ანონსი: ხვალ, ორშაბათს, წარმოდგენილი იქნება **„ევგენი ონეგინი".**

გამგებელი სახელოვნობო მოკაზმულობისა **ივ. ფითოევი.**

ტფილისი, 22 სეკდემბერს.

ჩვენმა გაზეთმა დიდი ხანია წარმოსთქვა თავისი აზრი შესახებ ტფილისის არჩევნებისა. ჩვენი მარტივი და გულითადი აზრი ის იყო და დღესაც ის არის, რომ ჩვენ, ქართველები, არ უნდა გამოვუდგეთ მარტო ქართველ ხმოსნების ემრავლესობას ქალაქის საბჭოში.

გამოვსთქვით და ესა არ-კი დაგვისახელებია არც ხმოსნების, არც ქალაქის მოურავის კანდიდატები. არ დაგვისახელებია იმიტომ, რომ ჩვენი რედაქცია კანდიდატების დამსახელებელი არასოდეს არცა ყოფილა და არც იქნება. კანდიდატების დასახელება ჩვენის ქართველ საზოგადოების საქმეა და ჩვენი რედაქცია-კი იმ საზოგადოების აზრის გამომთქმელია, რომელიც პირუთვნელია და რომლის არჩეულსაც ყოველთვის პატივსა ვსცემთ. ჩვენის გაზეთის 195 ნომერში ერთმა ჩვენმა თანამშრომელმა, ბ-ნმა სანომ, ქალაქის მოურავად ორი კაცი დაასახელა: ბ-ნი ნ. ნიკოლაძე და ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკი; თან ქება-დიდებაც შეასხა ორივეს; ეს ქება-დიდებაც ჩვენი თანამშრომლის კერძო აზრია, რომლის პასუხის მგებელი თვით ბ-ნი სანო უნდა დარჩეს.

„ივერიის" რედაქცია პასუხის-მგებელია მხოლოდ იმ აზრისა, რომელიც საკუთრად მისგან არის გამოთქმული; თუმცა ეს ასეა, მაინც ბ-ნმა ნიკოლაძემ მოგვმართა თავისის წერილით და გამოაცხადა, ვითომ „ივერიამ" თავის კანდიდატებად დაასახელა ბ-ნი ნ. ნიკოლაძე და ა. მ. არღუთინსკიო.

ამის შემდეგ „Тифл. Листокъ"-მა დაჰბეჭდა (იხ. № 221), რომ „ივერიამ" ქალაქის მოურავად დაასახელა ბ-ნი ნ. ნიკოლაძე, მაგრამ მან „დარდიმანდურად" თავისი კანდიდატურა უარ-ჰყო და თავის მაგივრად ვ. ს. მიქელაძე დაასახელაო.

მკითხველებს შეუძლიანთ იფიქრონ, რადგანაც ნიკოლაძეს წერილი ჩვენს გაზეთშივე იყო დაბეჭდილი, როგორც ბ-ნ სანოს წერილი, ბ-ნი ვ. ს. მიქელაძეც „ივერიის" კანდიდატიაო.

ყოველ ამის გამო, დღეს იძულებული ვართ წარმოვსთქვათ ჩვენი საკუთარი აზრი შესახებ იმ კანდიდატებისა, რომლებიც, ჩვენ-და უნებურად, „ივერიას" მოახვიეს თავზედ.

ბ-ნს ნ. ნიკოლაძეს „ივერიის" რედაქცია არ დაასახელებდა კანდიდატად ჯერ იმ მიზეზით, რომელიც მოყვანილია იმის წერილშივე. მერე კიდევ იმიტომ, რომ საბჭოს სომხობა თავის დღეში არ ამოირჩევს ბ-ნ ნ. ნიკოლაძეს, რადგანაც მან არა ერთხელ გაუგალა ზემოხსენებულს სომხობას თავი. ამისათვის დიდი გულუბრყვილობა იქმნებოდა ჩვენის მხრივ გვეფიქრა, რომ ასეთს თვისს მოწინააღმდეგეს ქალაქის მოურავად აირჩევდა სომხობა.

კნ. ვ. ს. მიქელაძესაც ჩვენი რედაქცია თავის დღეში ქალაქის მოურავად არ დაასახელებდა, რადგანაც ჩვენ ამ მხრივ ბ-ნ მიქელაძეს არ ვიცნობთ; განა, მისი ადრინდელი მასწავლებლობა, ადრინდელი ხმოსნობა და დღევანდელი მოღვაწეობა სასოფლო-სამეურნეო ბანკში საკმარისია იმისთვის, რომ „ივერიამ" ქალაქის მოურავად დაასახელოს?!

იქნება პატივცემული ვ. მიქელაძე სწორედ ისეთი სასარგებლო ქალაქის თავი იყოს, როგორსაც გვიხატავს ბ-ნი ნიკოლაძე, მაგრამ, დეე, ეს აზრი ისევ ბ-ნ ნიკოლაძისა იყოს და არა „ივერიისა", რომელიც ამ მხრივ ბ-ნ მიქელაძეს არ იცნობს. რაც-კი შეეხება მესამე კანდიდატს, ბ-ნს ა. მ. არღუთინსკის, ჩვენ სულ სხვა აზრისა ვართ, ვიდრე ჩვენი თანამშრომელი ბ-ნი სანო, რომელსაც ჰგონია, რომ „მისი მხნეობა და თავგამოდებული საქმიანობა" ისე „ცნობილია მოქალაქეთა მიერ და შემოწმებულია თვით განაჩენით სამოსამართლო პალატისა", რომ „გინდა თვით საფრანგეთის პარლამენტის გამგეთ ამოუდგება გვერდშიო".

რაოდენად მართალია ბ-ნ სანოს ქება-დიდება ა. მ. არღუთინსკის შესახებ, ჩვენ აქ ამის გამოძიებაში არ შევალთ.

ჩვენ ბ-ნ ა. მ. არღუთინსკის ვიცნობთ მხოლოდ ისეთ კაცად, რომელიც ხმამაღლა ჰყვირის, ჩემთვის სომეხი და ქართველი სულ ერთიაო და საქმით-კი სომხობისათვის მაგრა ხელი ჩაუჭიდნია და, საითაც მხოლოდ სომხობა გაიწევს, ბ-ნი არღუთინსკიც იქა ბრძანდება. სხვა რომ არა ვსთქვათ-რა, მოვაგონებთ მხოლოდ ჩვენს მკითხველებს ბ-ნ ა. არღუთინსკის ერთს საქციელს, რომელიც მან მოიქმედა ქალაქის საბჭოში ამ დღეებში, სახელდობრ, 9 სეკდემბერს. ამ კრებაზედ მან გადაიკლა თავი, გინდა თუ არა, ორმოცი შემახელი ოჯახი ტფილისის თავისუფალ მიწაზედ დავასახლოთო. როდესაც ბ-ნმა თავმჯდომარემ გამოუცხადა, რომ, კანონის ძალით, გარეშე ხალხის დასახლება ქალაქში შეუძლებელია, რადგანაც შემახელები ხუთის წლის მცხოვრებლები უნდა იყვნენ ტფილისისაო, ბ-ნმა არღუთინსკიმ, კანონის წინააღმდეგ, საბჭოს ურჩია, სენატში საჩივარი შევიტანოთო და საბჭოც დაეთანხმა.

განა, ეს საკვირველი არ არის? განა, ამგვარი „თავ-გამოდებულობა" შემახელებისათვის კანონიერია მაშინ, როდესაც იგივე არღუთინსკი, კანონის ძალით, სდევნიდა ტფილისელს იმ ქართველებს და რუსებს, რომლებმაც „ნაძალადევში" თითო ციდა ალაგი დაიჭირეს? განა, გასაოცარი არ არის, რომ ჩვენს ადრინდელს სოფლელებს „კუკიელებს" და „ავლაბრელებს" დღეს ალარავის იჯარითაც არ აძლევენ ალაგებს და კუკიისა და ავლაბრის მამულები, ზომით 5,000 დესეტინა, მიკიტნებს უჭირავთ იჯარით თითქმის მუქთად?

არა, ჩვენს რედაქციას ქალაქის მოურავად არავინ დაუსახელებია და დღეს, როდესაც სხვამ დაასახელა, ჩვენ იძულებულნი შევიქენით ჩვენი აზრი გამოგვეთქვა...

კვლავაც ასე მოვიქცევით.

ტფილისი

✦ ამ დღეებში მამა ი. ჩიჯავაძის სახლში ჩვენა ვნახეთ თამარ დედოფლის სურათი, რომლის მსგავსს ჯერ არსად შევხვედრივართ. სურათი დაბეჭდილია ისეთის ფერადებით, რომ იგი უეჭველად აღმოსავლეთად უნდა იყოს დამზადებული: თამარ დედოფალი ზის ჩაფიქრებული და ხელთ უპყრია რაღაც აბრეშუმის ქსოვილი. სურათის გარშემო ჰხატიან ეროვნულ ტანთსაცმელით იმ ტომთა წარმომადგენელნი, რომელნიც ქვეშევრდომობდნენ მაშინდელს საქართველოს.

✦ ტფილისის ოლქის სასამართლოს საქმეთა მეორე განყოფილება 23 სეკდემბერს თელავს მიემგზავრება და 24 დაიწყებს საქმეების გარჩევას. თავმჯდომარედ არის ალ. გ. რიბინი, წევრებად—ა. ი. მიტკევიჩი და ბრალმდებელად თანაშემწე ბრალმდებლისა—პ. პ. ფონ-კლუგენი. სესია საქმეების გარჩევას დაასრულებს 30 სეკდემბერს.

✦ გადაწყვეტილია, ტფილისის სიონის ეზო მოსუფთავდეს, გამოუსადეგარი და, თითქმის, დამპალი შენობები, რომლებიც აუშნოებენ ამ შესანიშნავ ტაძარს სამრეკლოს მხრიდგან, დაიქცეს, ალაგდეს და გაფართოვდეს ტაძრის მეიდანი. როგორც გვატყობინებენ, თვით მუზეუმის შენობაც უნდა მოშალონო და მეიდანს შეჰმატონ, ხოლო სამუზეო შენობა ააგონ ვერაზედ ან სადმე სხვა-

გან. დეკანოზი მარკოზ ტყემალაძე უკვე შესდგომია კრებულისათვის შენობის აშენებას ირაკლის ქუჩის გაყოლება საეკკლესიო მამულზე.

◆ სოფ. კაკიდგან ჩამოსულებმა გვიამბეს, რომ ძველს ჭანდარა საყდარს თავის ხარჯით აშენებს მღ. მიხეილ ყულოშვილიო.

◆ ამ დღეებში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ მოუვიდა 96 მან. საწევრო ფული. ეს ფული ჩამოუტანა საზოგადოებას ბ-ნმა ს. მერკვილაძემ, რომლისთვისაც რაჭაში ყოფნის დროს 16 კაცს გადაუცია ექვს-ექვსი მანეთი წლიური საწევრო შესატანი „საზოგადოების“ სასარგებლოდ.

◆ გუშინ ქალაქის გამგეობაში შეიტანა განცხადება თავად ლევან მელიქიშვილის უმთავრესმა კანტორამ და სთხოვა, მსურს რა ავიღო იჯარით ქალაქის ქუჩებისა და მოედნების მოკირწვლის საქმე, თუ ქალაქი ინებებს მუხით დაფენას, გთხოვთ შემატყობინოთ: 1) ფორმა და სიდიდე ოთხ-კუთხი ნაჭრისაო; 2) იმ ქუჩებისა და მოედნების სივრცე, რომლების მოკირწვლაც გამგეობას სურსო; 3) ფასი, რაც შეუძლიან გაიღოს ამ საჭიროებისათვის ქალაქმა საჯნობრივ; 4) ვადა, როდის უნდა მომზადდეს მასალა და 5) საჭიროა ბეის შემოტანა პირობის შეკვრის შემდეგ, თუ არა, ან რამდენი უნდა იყოს ეგ ბეიო.

◆ 19-დგან 31 აგვისტომდე ქალაქის ხორცის დუქნებისთვის დაკლულა 200 სული მსხვილ-ფეხი საქონელი და 150 ცხვარი; დაკლული საქონლის ფაშკი და ნაწლევები შინაურულად უმზადებიათ ძ, როცა გაუყიდნიათ, ხარჯთ გარეთ მოგება დარჩენილა 138 მან. ხორცის დუქნების უფროსმა მეთვალყურემ ალიხანოვმა შეიტანა მოხსენება გამგეობაში და დაწვრილებით აღნუსხა, თუ რა სარგებლობას მოუტანს ქალაქს ნაწლევების მოსამზადებელი ქარხნის დაარსება; ალიხანოვის სიტყვით, ამისთანა ქარხნისთვის ადგილი უკვე აქვს შეთვალიერებული საყასბოს ახლო, ზალინოვისა და ნავთიკოვის მამული, რომელნიც თვეში 25 მან. უთმობენ გამგეობასაო; ხოლო ქარხნის მოწყობა ეღირება 300 მან. გამგეობამ, განიხილა რა ალიხანოვის მოხსენება, მიანდო ბ-ნ ალიხანოვს ამ საქმის წარმოება და მისცა ნება საჭირო თანხის დახარჯვისა ქარხნის მოსაწყობად.

◆ ქალაქის გამგეობის წევრმა ბ-ნმა ტ. ა. ენფიანჯიანცმა სთხოვა მიწვეულ ინჟინერ-ელექტროტეხნიკს ხითაროვს, რომ ქუჩების განათების პროექტი გადაეთვალიერებინა და, თუ საჭიროდ სცნობდა, შეევსო და შეეცვალა. ბ-ნს ხითაროვს დაევალა აგრეთვე მიიწვიოს „ჰელიოს“-ის ფირმის ინჟინერები ამ პროექტისავე განსახილველად. აღნიშნული პროექტი, განიხილა რა საერთო ტეხნიკოსთა კრებამ, თითქმის ყოველ მხრივ უნაკლულოდ სცნო და გუშინ ენფიანჯიანცის დახმარებით ესპროექტი გეგმათა განმარტებითა და ხარჯთ-აღრიცხვითურთ გადაეცა საგუბერნიო მმართველობას უმაღლეს მთავრობის წინაშე წარსადგენად და დასამტკიცებლად.

◆ როგორც ბ-ნს ელექტრიკს ხითაროვს გამოუანგარიშნია, ელექტრონით განათება, თუ ჰაერში გაიბა მავთულები, ქალაქს დაუჯდება 490 ათას მანეთზედ მეტი; თუ ამავე მავთულებს გაიყვანს დედამიწაში, მაშინ დაჯდება 512 ათასი მანათი, ე. ი., 22 ათასით მეტი.

◆ ტფილისის სასანიტარო-საექიმო ინსპექტორმა მიჰმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა, რადგანც მომავალ წლისთვის ხარჯთ-აღრიცხვა უკვე დამტკიცდაო, ამისთვის ან შეაკეთეთ სადეზინფექციო კამერა, საყასბო და სხვა შენობანი, ან ჩვენ მოგვეცით ნება შევუდგეთ საჭირო შეკეთებასაო.

◆ რადგანაც ქალაქის ხორცის დუქნების ზედამხედველი ბ-ნი ალიხანოვი ამ მოკლე ხანში გაემგზავრება სხვა-და-სხვა მხარეს საკლავ საქონლის შესაძენად, ამიტომ ხორცის დუქნების მეთვალყურე კომისიამ მისის თანამდებობის აღმასრულებლად დროებით დანიშნა ბ-ნი ბაბოვი.

◆ ქალაქის გამგეობის მიწერილობით, 6 ამ თვეს მოხდა ქალაქის სასანიტარო-საექიმო საბჭოს წევრთა კრება, რომელმაც განიხილა გუბერნატორის წინადადება ხემეცების წყლის არხის გაუქმების შესახებ. საბჭოს წევრთ გარდასწყვიტეს, რადგანაც მთლად გაუქმება ამ არხისა დიდს ზარალს მოუტანს მის ნაპირებზედ მცხოვრებ მემამულეებსაო, ამიტომ: 1) თავიდამ ბოლომდის არხის ნაპირები და ძირი მოიფინოს ცემენტითაო; 2) ვენახებში და ბაღებში გადასაგდები რუს-თავები გაკეთდეს ცემენტით, რომ წყალი აქეთ-იქით არა ჟონავდეს, 3) ცემენტით გაკეთებული არხი დახუროს თავიდამ ბოლომდისაო; ასევე უნდა შეკეთდეს არხი დიდუბის ზემოთა ადგილებში სათავემდისაო.

◆ ქალაქის ხორცის დუქნების უფროს გამგეს ბ-ნ ალიხანოვს გუშინ-წინ, გულ-მუსა-ოღლისაგან შეუძენია 112 სული საკლავი საქონელი, წყვილი რვა თუმნად. შეუძენია აგრეთვე თანიაშვილისაგან ასი სული ცხვარი, წყვილი 8 მან.

◆ მე-10 ნაწილის მცხოვრებთ ქალაქის ხორცის დუქნების მეთვალყურე კომისიისათვის მიურთმევიათ თხოვნა და ემუდარებიან, გამართეთ აქაც ხორცის დუქანი და დაგვიხსენით არა მარტო უვარგის ხორცის ხმარებისაგან, არამედ ყასბების უზრდელ ქცევისაგან და ლანძღვა-გინებისაგანაცაო. თხოვნას ხელს აწერს 27 კაცი.

◆ ქალაქის სავაჭრო ზედამხედველი ბ-ნი ტერ-სიმონიანცი ატყობინებს ქალაქის გამგეობას, რომ მეათე ნაწილში ემელიან ბელკინმა დაიჭირა ქალაქის ადგილი და შენობის აგებასაც შეუდგაო; ამიტომ მიიღეთ ღონის-ძიება და შეაყენეთ შენობაზედ მუშაობაო.

◆ სამხედრო საავადმყოფოს უფროსმა მიჰმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა, მოუჭრას ქალაქმა ერთი ნაჭერი მიწა ქალაქის მამულებიდგან საავადმყოფოში მიცვალებულთა დასაკრძალავად, რადგანაც იმ დათმობილ ადგილზედ, სადაც ეხლა იმარხებიან, ადგილი აღარ არისო.

◆ ქალაქის ხორცის დუქნებში 18 ამ თვეს შემოსულა 812 მან. 71 კაპ. 19 ამ თვეს შემოსულა 713 მ. 35 კ.

—

კრება ხორცის დუქნების კომისიისა

19 სეკდემბერს შესდგა ტფილისის ხორცის დუქნების მეთვალყურე კომისიის წევრთა კრება. კრებამ განიხილა თხოვნა ნუგზაროვისა, სუმბათაშვილისა, კლიმკოვისა და სტეფანე გრიგოლის ძის მირზოევისა, რომელთაც წარმოადგინეს სხვა-და-სხვა პირობანი თავიანთ მამულის იჯარით გაცემისა ქალაქის საკლავ საქონლის გამოსაკვებად. სუმბათაშვილის მამული დაწუნებულ იქმნა იმის გამო, რომ იგი მოშორებით არის ქალაქზედ ძ ამ ადგილებში საქონლის შენახვაც სახიფათოა, რადგანაც გარშემო სანდო ხალხი არ ახვევიაო; დაიწუნეს აგრეთვე ნუგზაროვისა, კლიმაკოვისა და მირზოევის საძოვარი ადგილებიც; კლიმაკოვის მამული, რომელიც ყარაიის საძოვარ რაიონებში მდებარეობს, სხვათა შორის, კომისიამ დაიწუნა იმ მიზეზით, რომ, როგორც განაცხადა ბეითალმა, ყარაიის ადგილის ბალახი საკმარისად ნოყიერი არ არისო. ბ-ნმა ალიხანოვმა მოახსენა კომისიას, რომ იჯარით იძლევა თავის მამულს ბ-ნი არღუთინსკი, რომელიც ბარონ ნიკოლაის ეკუთვნოდა და აწ იჯარით აქვს აღებული ავეტიკა ტერ-ვართანიანცს. ამ მამულშივე აშენებულია ბოსელი, რომელშიაც მოთავსდება ზამთრობით 400-მდე სული საქონელიო. კომისიამ არც აცია და არც აცხელა და დაადგინა, ავიღოთ იჯარით ეს მამული ერთის წლით 2,200 მანეთადაო. კომისიამ, ხორცის დუქნების უფროს ზედამხედველის ბ-ნ ალიხანოვის თხოვნისამებრ, ნება-დართო ალიხანოვს შინაურული საშუალებით საქონლის ფაშვი და ნაწლევები დაამზადოს.

ამავე კრებაზედ კომისიამ განიხილა ბ-ნ კენიგსბერგის წინადადება, რომელიც თხოულობდა ქალაქის დუქნებიდგან საქონლის ქონის წაღებას ფუთს 3 მან. 50 კაპ. კომისიამ უარ-ჰყო კენიგსბერგის წინადადება და დაადგინა ქონის გასასყიდათ დაინიშნოს საჯარო ვაჭრობა.

შემდეგ კომისიამ განიხილა ვერაზედ და ავლაბარში ხორცის დუქნების დაარსების მოხსენება; ამაზედ კომისიას თუმცა წინადაც ჰქონია მსჯელობა, მაგრამ დღეს აქამომდე შესაძლებელად ვერ სცნო განეხორციელებინა ეს განზრახვა; ამ კრებაზედ კომისიამ დაადგინა დაარსდეს ხორცის დუქნები ხსენებულ ადგილებში; ხოლო ვერის საყასბო დუქნისთვის აშენდეს საკუთარი შენობა ვერის მოედანზედ და მოეწყოს შესაფერადაო. ავლაბრის დუქნისათვის დაქირავებულ იქმნას შენობა კახეთის მოედანზედაო. ზემოხსენებულს ადგილებს კომისია დაათვალიერებს 24 ამ თვეს.

რაც შეეხება ყარაიაზედ კლიმკოვის მამულის უვარგისობას და ბეითალის მოხსენებას, რომ ამ ადგილების ბალახი საკმარისად ნოყიერი არ არისო, ჩვენ აქ მცირე შენიშვნას მოვიყვანთ, თუ რა განძს შეადგენს ყარაიის საძოვრები, არამც თუ გარშემო სოფლებისათვის, არამედ ყველა იმათთვის, ვინც საქონლის მოშენებას მისდევს; სტატისტიკურად გამოანგარიშებულია, რომ ბაქოს რკინის გზის ბაქოსკენ ყარაიის სათიბ ადგილებიდან ყოველ წლობით გააქვს ორასი-ათასი თუმნის თივა ცხენებისა და საქონლის გამოსაკვებად; ყარაიის საძოვარ მიდამოებში ზამთრობით მიუდით ათიათასი სული სხვილ-ფეხი საქონელი და ასორმოც-და-ათი-ათასი სული ცხვარი. ამასაც-კი დავუმატებთ, რომ იმ საძოვარ ადგილის ახლომახლო სოფლების მცხოვრებლებიც-კი, რაც ეხლა კომისიამ ისურვა იჯარით აღება, ყარაიაში მიერეკებიან თავიანთ საქონელს გამოსაკვებად ზამთრობით, რადგანაც თავიანთ ზამთრის საძოვარ ადგილების ბალახი მათ საკმარისად ნოყიერი არ ჰგონიათ. ეს ცნობანი საკმარისია, რომ ყარაიის მინდვრები არამც თუ სასარგებლოდ იცნოს, არამედ აგრეთვე ისიც დაგვიმტკიცოს, რომ მისი ბალახიც მსაზრდოებელი ყოფილა, თორემ, განა რომელი საქონლის პატრონი იქნება თავის მტერი, რომ თავისი საქონელი ზამთრობით დასახოცათ მირეკოს ამ ადგილებში; ამისთვის ბეითალის ამისთანა აზრს, საეჭვოა, რომ დაეთანხმოს ვინმე; მაშ სად არის სიმართლის თავი და ბოლო, ვინ იცის!

ჩვენებური ამბები

ფოთი. აგვისტოს დამლევს ქალაქის გამგეობამ გამოაცხადა სიები იმ პირთა, რომელთაც ნება ჰქონდათ მიანაწილეობა მიეღოთ ხმოსანთა არჩევანში. თვით არჩევანი იყო 8 სეკდემბერს.

ზოგიერთ ვაჟბატონთა წყალობით, რომლებიც სცდილობდნენ ასე თუ ისე როგორმე მდგომარე არჩევანში „გათეთრებულ“ იყვნენ, გაჩნდა „პარტიობა“, „სოვეტ“-ჩურჩულობა და ფაცა-ფუცით ლელოს გატანა.

ვინ იცის, ამ ბატონებმა რა არ მოიქმედეს თავიანთი გულის წადილის აღსასრულებლად: გააკრეს დაბეჭდილი განცხადებები ხმოსანთა კანდიდატების სიებისა, რათა ამით დაემსახურებინათ ყურადღება მეკენჭეთა.

ამასობაში მოაწია რვა სეკდემბერმაც; დაიწყო ხმოსანთა არჩევანი. ქალაქის თავი, ნ. ი. ნიკოლაძე, როგორც მოგეხსენებათ, საზღვარგარეთ სამკურნალოდ იყო წასული, მაგრამ არჩევნების ორის თუ სამის დღის წინად დაბრუნდა.

ამომრჩევლების უმეტეს ნაწილს, ვინც დააკვირდებოდა, ადვილად შეატყობდა, რომ ამ დღეს (8 სეკდემბერს), მოსულიყო არა ქალაქის ხმოსანთა ამოსარჩევად, ამოსარჩევად იმისთანა კაცთა, რომელნიც ოთხი წლის განმავლობაში უნდა ყოფილიყვნენ ქალაქის ნამდვილ პატრონად, არამედ ამა თუ იმ მეგობართა, ნათესავთა და ნაცნობთა ინტერესების დასაცველად.

გათავდა არჩევანი. ბევრს ახლებს აუსრულდათ გულის წადილი და „გათეთრდნენ“, ხოლო ბევრს, ძველის საბჭოს ხმოსნად ნამყოფს, გადუბრუნდა ბედი. სადაც ას სამოცს „თეთრს“ ელოდნენ, იქ ასი და ოცი „შავი“ კენჭი ამოუვიდა და 40 კი თეთრი.

—

თითქმის ორასზე მეტი მოქალაქენი დარჩნენ უკენჭოდ. მათ თურმე 8 სეკდემბრამდე სულ არ სცოდნოდათ, რომ კენჭი არ ჰქონდათ ხმოსანთა არჩევანში: აგვისტოს თვეში შეეტანათ ქალაქის გამგეობაში მათზე დაშთენილი გადასახადი და ეხლა სრულ მეკენჭედ ეგონათ თავიანთი თავი.

მაგრამ ბოლოს, სამწუხაროდ, საქმემ წინააღმდეგი აღმოაჩინა.

ბევრი მათგანი დარჩა უკენჭოდ იმის გამო, რომ მათ ჰქონოდათ საზიარო მამული ერთმანეთთან. ხოლო ერთს მეორესგან რწმუნება არ მიეღო. რწმუნების ქაღალდი-კი საჭირო რომ იყო, არც ერთს მათგანს არ სცოდნოდა. ფოთის სულის ჩამდგმელს ნ. ი. ნიკოლაძეს ას სამოც მოკენჭეებმა რვა „შავი“ მიუძღვნეს.

სწორედ ავადმყოფი იყო მის მოსვლამდის ფოთი და იმისთანა მძიმე ავადმყოფიც, რომლის გამობრუნებაც შეეძლო იმისთანა დაუღალავს, მხნეს და გამრჯე კაცს, როგორიც ნიკო ნიკოლაძეა.

—

ვ. ი. თოფურიძეს ჩვენმა მოქალაქეებმა 58 „შავი“ კენჭი მისცეს.

ამ კაცის ღვაწლი და შრომა ყველასთვის თვალ-საჩინოა. მას დიდი შრომა მიუძღვის ქალაქის ირგვლივ ჯებირის შემოვლების საქმეში. მისის შრომითა და მეცადინეობით, აგრეთვე ქონებრივ დახმარებით გვაქვს ქალაქის სასაფლაოზედ აგურის მშვენიერი ეკკლესია და მშვენიერი შენობა სამრევლო სკოლისათვის, საკრებულო ტაძართან. ამისთანა მოღვაწეებს „შავს“ უგდებენ!

ბატ. ნ. ი. ნიკოლაძეს და ვ. ი. თოფურიძეს ერთი „შავიც“ არ უნდა ამოსვლოდათ, ისე ერთხმად უნდა აერჩიათ ხმოსნად, მაგრამ სადაა შრომის დამფასებელი ჩვენში!

მაგრამ... „ღმერთო, მიუტევე შეცოდებანი, რამეთუ, რასა იქმან, არ უწყიან“, სწორედ ეს-ღა დაგვრჩენია დღეს სათქმელი ჩვენის პოეტის ვაჟა-ფშაველას ლექსის არ იყოს:

„მიკვირს, რად უგდებთ თქვენც ყურსა
ერთს—ორს ურწმუნო თომასა...
საცა სიმართლე ჰღაღადებს,
იქვეა აზრთა ცდომაცა“!..

თეოფანე ძველაია.

—

ქიზიყი. ჩვენი სიღარიბე არის მიზეზი ჩვენში სწავლა-განათლების შეფერხებისა. ყველასა სწყურიან სწავლა, ყველა სოფელს უნდა თავისი საკუთარი სკოლა იქონიოს, მაგრამ რამდენიმე სოფლის ერთ-ერთ სოფლის სკოლაზე მიწერა-კი ხელს უცარავს ქიზიყელთ განათლების მხრივ. გულით რომ უნდოდეთ სხვა სოფლელთ თავისი საკუთარი სკოლა იქონიონ და მიწერილ სოფლის სკოლის ხარჯებიდგან განთავისუფლდნენ, ვერ მოუ-

---

ფელეტონი

პოემიდან „ბოდვა“.

VI

ცხოვრებისთვის რაც კარგია,
შეგნებული მაქვს მეც სრულად,
მაგრამ რა ვქნა, ვერ გავხდები,
ღორ-მუცლების მზარეულად.

—

არ ვარგივარ საპირადოდ
არც მტერსა და არც მოყვარეს:
უპურღვინოდ რომ მხედავენ,
ქვა და გუნდა მომაყარეს.

—

მაგრამ რა ვქნათ? ცრუ სოფელმა
სხვა-კი ვინმე გაახარა,
თუ არ ქლესა, ენა-ტკბილი,
და საქმით-კი მატყუარა?

—

და რას მარგებს მაშ მე ქვეყნის
აყოლა და ყურის გდება?
რასაც ვფიქრობ და დავეძებ,
ოდესმე ხომ გამართლდება?

—

ჩემ სურვილსა და ჩემ შრომას
დღეს თუ არ აქვს გასავალი,
(სულ კუჭი ხომ ვერ იმეფებს?)
სად წაუვა მომავალი?

—

როცა მუშა ჰხნავს და სთესავს,
ხორბალს აბნევს... აღარა სჩანს...
მაგრამ მოვა დრო და თესლი
ერთხელ ნაყოფს გამოიტანს.

—

სიტყვა იგივ თესლი არის,
ნორჩი გული—მიწა-ხნული
და აბიბინ-ამწვანდება,
რომ მოუა გაზაფხული.

—

თუმცა მე-კი ვერ მივაწევ,
ველარ ვნახავ მწიფე სამკალს
და სხვა ვინმე ჩემ ნათესზე
ატრიალებს მღერით ნამგალს.

—

დაივიწყებს მოლხენის დროს
მამა-პაპის დროს გადასულს
და აღარც-კი მოიხსენებს
მხვნელისა და მთესველის სულს.

—

მაგრამ შრომა, ლოცვასავით
თავის-თავად ცამდი ადის.
როგორც სამთელ-საკმეველი,
ქვეყნის შვება-სიდიადის.

—

ეს მამხნევებს, მანუგეშებს!..
ეს მიმთელებს გატეხილს გულს
და აფერად-აფრთოვანებს
ჩემს სიხარულს და სიყვარულს!

—

სიყვარული სიხარულს შობს,
სიხარული—შვება-ლხენას!
და ორივე-კი ფრთებსასხავს
საოცნებო ალმა-ფრენას.

—

ალმა მფრენი დაბლაც ხედავს,
უფრო ნათლად, უფრო დიდად!
ქვეყნის ჭირი, ქვეყნის ლხინი
წინ მიუძღვის გზად და ხიდად.

—

ჩემი ქნარიც, ალმა მფრენი,
ხან ზარს ამბობს და ხან ზევსურს,
დღეს-კი ბოდავს და ვაფრთხილებ
ყურს ნუ უგდებს, ვისაც არ ჰსურს.

—

მა რა არის, თუ არ ბოდვა,
ეს სიმღერა გადაკრული...
და დარიან-ავდრიანი,
როგორც მარტის გაზაფხული?

—

დიახ, ვბოდავ, ცეცხლში ვიწვი
და არც ველი სხვისგან შვებას,
მაგრამ ისეც, ჩემდა თავად,
არა ვკარგავ სასოებას.

—

რკინას ცეცხლი აფოლადებს,
ადამიშვილს განსაცდელი.
თვით ცხოვრება არის ბრძმედი
და განგება გამომწველი.

—

რა არის, ვინც ვერ აიტანს
ამირანის გასაჭირსა!
თქმულა: „ჭირში გამაგრება
ისე უნდა, ვით ქვითკირსა!“

—

ჩვენც ნაშთი ვართ ამირანის
მომავალით სულ-ჩადგმული
და სიმბოლოთ დაგვესახა
გულზე რწმენა ეროვნული.

—

ქვა-კუთხედი არის მისი
ენა, რჯული და ელ-ფერი,
ბუნების და ისტორიის
შენათხზი და შესაფერი?

—

ვინც უარს ჰყოფს ან ერთს მათგანს
და უცარავს უკუღმა ბედს,
პილატეა, ან იუდა,
და უარჰყოფს თვით შემოქმედს.

—

ვერ ვიწამებ მოციქულად
მე იუდა გამცემელსა!
ვერც მივბაძავ პილატესა
არ გავიბან მე წყლით ხელსა!

—

რასაცა ვგრძნობ, კიდეც ვამბობ...
რასაც ვამბობ, მას ვასრულებ;
და ამისთვის, ახალგაზდავ,
მტრულის თვალით, რათ მიყურებ?

—

ყმაწვილი ხარ, ჯერ ვერა ხარ
ცხოვრებაში გამოცდილი
და არ იცი, როგორ ჰფარავს
კაცის შავ-გულს—თეთრი კბილი.

—

მეც შენ ხანში ეგრე ვიყავ,
ვერ ვარჩევდი ავსა და კარგს:
სიბრიყვეს და სისულელეს
უნებურად ვაძლევდი ხარკს.

—

წმინდის გულით, წრფელის სულით
ვლოცულობდი ქუდ-მოხდილი,
მაგრამ მაინც ბევრჯელ შევცდი,
რომ არ ვიყავ გამოცდილი.

—

ზოგი ვაქე არა ღირსი,
ზოგიც დავჰგმე უსამართლოდ
და ვიდოდი უსწორ-მასწორ,
როგორც ბნელში, უსინათლოდ.

—

სანამ ბოლოს დრო და ხანმა
თვალები არ ამიხილა
და სიმართლე სიმტყუნეზე
თანასწორ არ გამაფრთხილა.

—

ახლა ვიცი, სად რა არის?
ვინ რა არის? და როგორა!
კმარა, რაც რომ სიყმაწვილემ
შემაცდინა, მამალორა.

—

არ მრწამს სიტყვა ცარიელი,
სათვალთმაქცო, მძულს მე წერა.
საქმე... საქმე, მხოლოდ საქმე!
როცა ვხედავ, ეს-კი მჯერა.

—

მაგრამ ჩვენში საზოგადოდ
არ იგლეჯენ შრომით კალთას;
გარბიან და გამორბიან,
ზოგი ალთას, ზოგი ბალთას.

—

სხვაგან სადმე, სხვის ნათქვამსა
ყურს რომ მოჰკვრენ ჭორივითა,
შინაურებს ერევიან
„ოთოთაანთ ქორივითა“.

—

ეს მარქსობს, ის გარიბალდობს,
ის კეისრობს და ეს ბრუტობს;
ნამდვილ საგანს-კი ვერც ერთი
ვერა ხედავს, ყველა ბრუტობს.

—

და ბრუტიან მეთაურებს
ვინღა მოსთხოვს გზის სისწორეს?
იქით-აქეთ უგზო-უკვლოდ,
ედებიან ლობე-ყორეს.

—

უმეცრებამ სძლია ცოდნას,
დაიმონა კუჭმა გული!
ფარისევლის ლოცვად გახდა
„სამშობლო“ და „სიყვარული“

—

„ველარა სცნობს ძაღლი პატრონს“,
აირია გზა და კვალი,
მაგრამ მაინც კიდევ ნათლად
თვალ-წინ გვიდგას მომავალი.

—

ის გაჰფანტავს დღევანდელ ბნელს,
გამოაჩენს მრუდეს და სწორს
და კიდევაც გაანსხვავებს
იუდას და პეტრეს ამბორს.

—

მაშინ-კი ჩვენც დავინახავთ
დღეის საქმის მეთაურებს!
და სიმართლით გამოვუზომთ
სანაქებო თვალს და ყურებს.

აკაკი.

ხერხებიათ, რახან ამ ოცდა-ათი, თუ მეტნაკლები წლის წინედ განაჩენი დაგიდგენიათ და ხუთს-ექვს სოფელს ერთი სკოლის ხარჯი გიკისრნიათ, უსათუოდ იმ სკოლის ხარჯიც უნდა იკისრო და შენს სოფელში, თუ გსურს ორმოცი სკოლა გაიხსენ შენის ხარჯ-ბორჯითაო. მიუხედავად ამ უხერხულ მდგომარეობისა, ზოგიერთ სოფელში გაიხსნა სკოლები და მასწავლებელთ თავი აქვთ მობეზრებული—„ჩვენი შვილები მიიღეთო“. ადგილის უქონლობის გამო წელს, მაგალითად, ჯუგაანში ყმაწვილები კენჭის ყრით იქმნენ მიღებულნი, თუმცა ამ სკოლას ორი მასწავლებელი ჰყავს ორის განყოფილებით, ვაჟებისა ცალკე, ქალებისა ცალკე. სწყურიანთ ქიზიყელთ სწავლა-განათლება, მაგრამ ზემოხსენებულ უსწორ-მასწორობისა გამო სოფლელთ გახსნილი და კეთილად წარმოებული სკოლები მიკეტეს, მაგ. ოზაანში და არბოშიკში. ადგილობრივი მაზრის მეთვალყურე მღვდელი მამა დავით იაშვილი დიდად სცდილობს ხელ-მეორედ გახსნას იმავ სოფლებში სკოლები, მაგრამ ხალხი გაიძახის: „მოგვაშორეთ თავიდამ მირზაანის სკოლის გადასახადი, შეშისა და მოსამსახურის ჯამაგირი და დიდის სიამოვნებით გავხსნით ჩვენს სოფელში სკოლას და შვილებსაც ვატარებთ სასწავლებლადაო“.—ხალხი ისეა დაშინებული ამ ზედმეტი ხარჯისაგან, რომ სანამ ოზაანში ორმა კაცმა, საბა და თომა მეხრიშვილებმა თითონ არ იკისრეს, ინაღვლეს სკოლისათვის სახლის მიცემა, შეშისა და მოსამსახურის დაჭერა, სანამ ვერ გაბედეს, არა თანხმდებოდნენ სკოლის გახსნაზე. ქიზიყს სკოლა უნდა. ესენი დიდს საგონებელში არიან ჩაცვივნულნი, მხოლოდ არ იციან შველა და ხსნა საიდამ იქნება, ან „მზე სიმართლისა“ როდის აღმობრწყინდება.

დ—ყებული.

ბათუმი. სრული ერთი კვირაა, რაც გადაუღებლივ წვიმს ბათუმსა და მთელს გურიაში; ისმის ცუდი ხმები მოსავლისა. მთელი სასიმინდოები თურმე წყლის გუბეებად იქცა. რა თქმა უნდა, ასეთი ტაროსი არც შემოსულ ყურძენს დააყრის სიკეთეს. აბა, რაღას უნდა მოელოდეს საწყალი მიწის მომუშავე!..

არც ბათუმის მოქალაქენი არიან კარგს მდგომარეობაში ავდრისაგან; მეტადრე „ვოკზლის“ გადაღმა მხრის მოსახლენი მთლად ტბების მორევში სცურავენ...

ამ ავდრიანობაზედ და აღმოსავლეთის ქარის ქროლაზედ იმდენი მწყერი მოფრინდა ბათუმში, რომ ღამ-ღამობით გოგო-ბიჭები, დიდი და პატარა, დადიან ქუჩებში ფარნებით ხელში და ათობით და ასობით იჭერენ, მეტადრე ბევრი მწყერი აწყდება ელექტრონის ფარნების სინათლეს...

შავი ზღვა ჩვეულებრივ აღელდა, რის გამოც გემები ვერ შედიან წვრილ ნავთ-სადგურებში, გარდა ბათუმისა და ნოვოროსსიისკისა.

16 სექტემბერს აქაურ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორას ეწვია პეტერბურგიდგან სარევიზიოთ ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ-სამმართველოს უფროსის თანაშემწე ბ-ნი კარმილოვი, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, არა სარევიზიოდ იყო აქ, არამედ ახალ შენობის დასათვალიერებლად. ეს შენობა მას ძალიან მოეწონა და, მართლაც, ასეთი ყოველ მხრივ მოწყობილი შენობა ფოსტისათვის პირველი უნდა იყოს მთელს კავკასიაში.

აქეთ საგრძნობლად აცივდა, რადგან ახლო მდებარე მთებზედ თოვლი დასდო უკვე.

ტრ. ინასარიძე.

სვირი (ქუთაისის მაზრა). აქნობამდის მშვენიერი ამინდები იყო. სიმინდის მოსავალს პირი კარგი უჩანს, მაგრამ აგერ მეშვიდე დღეა არის, რაც ნიადაგ წვიმებია და მთებიც ჩამოგვითოვა. სიმინდის სიძვირის გამო გლეხებმა ადრე დაიწყეს ყანების ტეხა. ბევრს მოტეხილი სიმინდის ტარო ეხლაც ყანებში ყრია, წვიმების გამო ვეღარ გამოუტანია: შიმშილობას რომ იტყვიან, სწორედ ეხლა არის: ვეღარც ახმობენ ახალს სიმინდს და ვეღარც ყიდულობენ ძველს. ყურძენს აქნობამდის არა უშავდა-რა, თუმცა-კი ალაგ-ალაგ გაჰკრა ხელი ნაცარმა. მაგრამ დღეს ერთბაშად ლპება დოდლაბის ჯიშის ყურძენი. ბევრი ნაცარს ემდუროდა, ნაცარმა ყურძენი წაგვიხდინაო; თავიანთი ბრალია, დროზედ ვერ უქიმეს. მკვდარს რაც უნდა ბევრი წამალი ასხა პირში, ის მაინც ვეღარ გამობრუნდება და ამათაც ესრე მოუვიდათ: სანამ ნაცარმა ძრიელ არ გააფუჭა, მანამ არ უქიმეს, შემდეგ-კი უწამლეს გოგირდით, მაგრამ ვეღარ უშველა.

ბ-ნი თორნიკე უსაყვედურებს „ვიღაც“ არა-მკითხე აგრონომს. სასაყვედურო-კი არა, სწორედ მადლობის ღირსია ეს აგრონომი. მისი წამალი სოდა გეგონებათ და არც ძვირია, ბევრმა იყიდა ეს წამალი და მიასხურა წყალში გახსნილ სითხით; ამბობენ, ნაცარი მოაშორა და საღი მტევანი დარჩაო. ბ-ნ თორნიკეს აზრით, ამ ახლად გამოგონილ წამალს ვითომ მთლად უნდა მოესპო ნაცარი; მთლად როგორ მოსპობდა! ამდენი ხანია რაც ნაცრის წინააღმდეგ მოგონილი ფხვნილი გოგირდი იხმარება და წელს იმის წამლობითაც ვერას გამხდარან, როგორც თითონვე ამბობს: „ვინც გოგირდით უწამლა, იმის ვენახიც საკმაოდ დაინაცრაო“. მაშ იმ გოგირდის გამომგონიც არა-მკითხე აგრონომი ყოფილა.

იუსტინე.

ქუთაისი. ამ დღეებში ოლქის სასამართლოს სისხლის განყოფილებაში გაირჩა საქმე გიმნაზიის დირექტორისა **სადგურის ბუფეტში პაპიროსის მოწევის შესახებ**. დირექტორი ამას წინედ ოჯახობით ქუთაისის სადგურზედ ყოფილა და პირველი კლასის ზალაში სტოლთან მჯდარა და პაპიროსის წევა დაუწყია. ეს შეუნიშნავს იქ მყოფ ჟანდარმს და ოქმი შეუდგენია. ჟანდარმისა და თვით დირექტორის ოჯახობის ჩვენების შემდეგ, მოსამართლემ დირექტორი დამნაშავედ იცნო და ერთი მანეთით დააჯარიმა. დირექტორი ამ გადაწყვეტილებაზედ უკმაყოფილო დარჩა და საქმეს ასაჩივრებს. ეს დღე დასდგომია დირექტორს ბუფეტის სტოლზე გამოკრულ განცხადების „курить воспрещается“-ს წყალობით...

ოთხშაბათს, 18 სეკდემბერს, მოხდა კრება სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტისა და ბანკის მმართველობისა. ამ კრებაზედ უნდა აერჩიათ ახალი დამფასებელი ბანკისა, საზოგადოდ, კანდიდატების უმრავლესობა უნივერსიტეტებში ნამყოფი და აგრეთვე კურსდამთავრებული ახალგაზრდა იურისტებია. ზედამხედველ კომიტეტს უნდა სულ განაახლოს დამფასებლები, გამგეობა და მათში თავმჯდომარე მელნიკოვი ძველების დატოვების მომხრეა. 18 ენკ. კრებაზე კომიტეტს და მელნიკოვს ცხარე დაპარაკი ჰქონიათ ამ საკითხის გადაწყვეტის დროს. მელნიკოვი ამბობს ჯერ შესწორებულ წესდების დამტკიცებამდე მაინც ჩემს უფლებაშია დამფასებლების ამორჩევაო, კომიტეტი-კი თავის უფლებათ სთვლის ამას. ბოლოს საკითხის გადაწყვეტა მიანდვეს სამინისტროს, რომელსაც გაუგზავნეს ტელეგრამა იმის შესახებ, თუ რა უფლებით არის აღჭურვილი ბანკის მმართველი მელნიკოვი. ამბობენ, თუ კომიტეტმა თავისი ვერ გაიყვანა, სუყველანი თავს დაანებებენ სამსახურსო. კაცს დაუსრულებელი კონფლიქტი აქაურ ბანკის საქმიანობაში!.. ნეტა როდის მოეღება ბოლო ყოველივე ამას?!

ისო.

უცხოეთი

ინგლისი. ინგლისის გაზეთობა მეტად გაუბრაზებია ბურების გენერალთა მოწოდებას. ბრიტანელ პუბლიცისტების აზრით, გენერლებმა იმ განზრახვით გამოაქვეყნეს ეს საბუთი, რომ როგორმე ჩირქი მოსცხონ ინგლისის მთავრობასაო.

მაგ., „Daily Telegraph“-ი ამბობს, ეს უხეირო და უდროო მოწოდება გენერლებმა-კი არა, ჰოლანდიის „ცბიერმა ინტრიგანებმა“ დასწერესო. მასში თავით ბოლომდე ის აზრია გატარებული, რომ ინგლისელები ძუნწი და შეუბრალებელი ხალხიაო. გაზეთები „Standard“-ის და „Morning Post“-ის აზრით ეს მოწოდება „დანოსია“ ინგლისის სამართლიანობაზედაო.

უკანასკნელი გაზეთი, ცოტა არ იყოს, მოუფიქრებლად შეჰნიშნავს, რომ ის ფურცლები, რომლებიც ხელმოწერილნი იქნებიან ბურების სასარგებლოდ, საუკეთესო ნივთიერი საბუთი იქნება იმისა, თუ ვინაა გამსჭვალული ინგლისელების სიძულვილითაო.

ლიბერალთა გაზეთობაც-კი წინააღმდეგია ამ მოწოდებისა. გაზ. „Daily Chrouicle“-ის აზრით იგი—„საბრალო და შეუფერებელი ნაწარმოებია“.

მხოლოდ ერთად-ერთი „Leader“-ი აცხადებს, რადგან ბურებს თვით ინგლისის მთავრობამ არ აღმოუჩინა საჭირო დახმარება, მათ სრული ზნეობრივი უფლება ჰქონდათ უცხო სახელმწიფოებისათვის მიემართნათ და შეწეობა ეთხოვათო.

— როგორც მოსალოდნელი იყო, ბურების მოწოდებამ ისევ ინგლისელებზედ უფრო გასჭრა, ვიდრე სხვებზედ, მაგ. ვინმე ფილპსმა კენრეჯის საზოგადოების წევრმა, ბურების სასარგებლოდ 20,000 გირ. სტერლინგი შესწირა. ბოტამ, მიიღო თუ არა ეს ფული, გაუგზავნა ფილპსსა სამადლობელი წერილი, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია:

„ჩემ მოვალეობადა ვსთვლი გაუწყოთ, რომ თქვენ მიერ შემოწირული ფული სრულიად მივიღე და გარწმუნებთ, რომ იგი სავსებით მოხმარდება მხოლოდ ბურების საქველმოქმედო საქმეებს და ერთი ფარაც არ დაიხარჯება ისეთ დაწესებულებათა სასარგებლოდ, რომელნიც მტრულად შესცქერიან ინგლისის მთავრობასაო.

— ხმა გავარდა, ბრიტანიის მთავრობა ახლო მომავალში შეუდგება პარლამენტის დათხოვნასაო. მაშასადამე, საზოგადო არჩევნებს საფუძვლად სასკოლო კანონპროექტი დაედება, რადგან დიდი უმრავლესობა საზოგადოებისა ამ რეფორმის წინააღმდეგია. ამ გვარად მომავალი სესსია პარლამენტისა რამდენადმე შეავიწროებს მთავრობას, რომელსაც, გარდა ამისა, გარეშე პოლიტიკის საქმეებიცა აქვს გადასაწყვეტად.

— ბრიტანიის მთავრობამ მეტად სასტიკ ზომებს მიჰმართა ირლანდიელთა წინააღმდეგ.

სეკდემბრის 11-ს ბირრეკის სასამართლოში ირჩეოდა საქმე ირლანდიის დეპუტატთა რედისა, ჰავილანდ-ბერკისა, ო'დონნელისა და სხვათა, რომელთაც ისა ჰბრალდებოდათ, რომ მთავრობას ექადდებიან, კანონის წინააღმდეგ კრებებს ახდენენ და ძალით იბირებენ ხალხს ირლანდიის ლიგის წევრებადო. ო'დონნელი სასამართლოში არ გამოცხადდა. რედდი და ბერკი სასამართლომ დამნაშავედ სცნო და მიუსაჯა ორი თვით დაპატიმრება საკატორღო საპყრობილეში; როდესაც ამ სასჯელს მოიხდიან, უნდა წარმოადგინონ საწინდრად 50 გირვანქა სტერლინგი და ორი თავდები, რომელთაც ოც-ოც-და-ხუთი გირ. სტერ. უნდა წარადგინონ, რომ მომავალში ბრალდებულნი არავითარ საეჭვო საქმეში არ იქმნებიან შენიშნულნიო. ო'დონნელი, რომელიც სასამართლოში არ გამოცხადდა, მეორე დღესვე შეიპყრეს. იმ დღესვე შეიპყრეს მეოთხე დეპუტატი, როჩი, რადგან არც ის გამოცხადდა თავის ნებით სასამართლოში.

საფრანგეთი. სექტემბრის 13-ს ნანტის სამხედრო სასამართლომ გაასამართლა ბრესტის გარნიზონის მაიორი ლადიური, რომელსაც ჰბრალდებოდა მთავრობის განკარგულება არ შეასრულაო. სასამართლო ხალხით იყო გაჭედილი.

საბრალმდებლო ოქმში სწერია: აგვისტოს 1-ს გენერალ ლარნაკმა, ადგილობრივ პრეფექტის თხოვნით, უბრძანა პოლკოვნიკ ბარრეს, ერთი ბატალიონი გაგზავნეთ სოფელ დუარნეზეს, სადაც უნდა დაეხურათ საკონგრეგაციო სკოლები. ბარრემ, თავის მხრივ, უბრძანა ლადიურის, ბატალიონი თქვენის უფროსობით უნდა გავგზავნოო, მაგრამ უკანასკნელმა განაცხადა: „ჩემი სარწმუნოებრივი რწმენა ნებას არ მაძლევს ამ შემთხვევაში სარდლობა ვიკისროო. ამ ბოლოს დროს „ჩვენს სახელმწიფოში ისეთი ამბები ხდება,„რომ იძულებული ვარ სრულიად გავიდე სამსახურიდან. თხოვნა უკვე მზადა მაქვს და ეხლავ მოგართმევთო“. პოლკოვნიკმა უთხრა, თხოვნა ეხლა დაგვიანებულია და თქვენს უარს ისე მივიჩნევთ, როგორც სამსახურის დროს წინააღმდეგობასაო. მიუხედავად ამისა, ლადიური, მაინც არ დასთანხმდა და ქაღალდი შეიტანა, სამსახურიდგან განმათავისუფლეთო“. სასამართლოში ბრალდებულმა განაცხადა: „მე ბრძანება არ შევასრულე სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო, უპირველეს ყოვლისა, ჩემი ქრისტეანული სინიდისი ნებას არ მაძლევდა ხელი შემეწყო იმ ზომებისათვის, რომელნიც შეურაცხყოფდნენ ჩემს სარწმუნოებრივს რწმენას. მეორეც ისა, რომ ზემოხსენებულ ზომათა კანონიერობა საეჭვოდ მიმაჩნდა, რადგან არა ერთი ცნობილი იურისტი იყო მისი წინააღმდეგი. მე 28 წელია სამხედრო ტანისამოს ვატარებ, მაგრამ არაოდეს არ მომსვლია აზრად, რომ ერთხელაც იქნებოდა, ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ უნდა გამელაშქრა, ძალით შემემტვრია კარ-ფანჯრები და გარედ გამომედევნა ბერ-მონოზნები». დასასრულ ლადიურმა დასძინა, „მე მუდამ ჟამს ისე ვიქცეოდი, როგორც სინიდისი მეუბნებოდაო“. როდესაც თავმჯდომარემ ჰკითხა, მაშ რატომ უფრო ადრე არ გახვედით სამსახურიდგანაო, ბრალდებულმა უპასუხა: „მე ვერც-კი წარმოვიდგენდი, თუ ასეთს ბრძანებას მომცემდა ვინმეო“.

სამხედრო სასამართლომ ექვსის ხმის უმეტესობით წინააღმდეგ ერთისა დამნაშავედ სცნო ლადიური, მაგრამ მხედველობაში მიიღო ის შესაწყნარებელი მდგომარეობა, რომელშიაც იგი იყო და მიუსაჯა სამხედრო სამსახურიდგან დათხოვნა უპენსიოთა და უმუნდიროთ. თავმჯდომარეს გენერალ მოს, განჩინების წაკითხვის დროს თვალზედ ცრემლი მოერია.

შეერთებული შტატები. არც ერთს ქვეყანაში არ მოუპოვებიათ დედა-კაცებს იმდენი უფლებები, რამდენიც შეერთებულ შტატებში. როგორც უკანასკნელ სტატისტიკურ ცნობებიდგანა სჩანს, ამერიკაში ამ ჟამად ყოფილა მოსამსახურე-ქალი: 3,605, მქადაგებელი—1,009, ვექილი—7,399, მკურნალი—787 კბილის ექიმი,—1,040 ხუროთ-მოძღვარი, 946—მოგზაური, 409—ელექტრო-ტეხნიკოსი, 45—მემანქანე რკინის გზისა, 91—დარაჯი, 196—მჭედელი,—1,805 მეთევზე, 1,320—მონადირე, 2—ავტომობილის მემანქანე და 5,582—დალაქი.

ყუბის რესპუბლიკა. როგორც გაზ. „Globe“-ი იუწყება, ყუბის პრეზიდენტს საუბარი ჰქონდა ერთს კორესპონდენტთანა და შემდეგი უთქვამს:

„მას შემდეგ, რაც ყუბაზედ თვით-მმართველობა დამყარდა, მთელი ოთხი თვეა და ძალიან რიგიანადაც მიდის საქმეები. საადმინისტრაციო ხარჯების დაფარვის გარდა, კიდევ დაგვრჩა ცოტაოდენი თავისუფალი თანხა. ჯერ-ჯერობით ჩვენი საქმე ძალიან კარგადაა. მე ვიმედოვნებ, რომ ამერიკის ჯარებს მალე გაიყვანენ აქედგან, რადგან მათს აქ ყოფნას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს ჩვენთვის, პირ-იქით, ცუდი გავლენა აქვს ადგილობრივ მკვიდრთა ზნეობაზედ. ეს ზიანს მისცემს ჩვენს აღებ-მიცემობას. ჩვენ არა გვსურს მხოლოდ შეერთებულ შტატებთანა გვქონდეს მკვიდრი ურთიერთობაო. ჩვენ კარი უნდა გავუღოთ ყველა სახელმწიფოებს და სხვისაგან დამოუკიდებელი აღებ-მიცემობა და მიმოსვლა უნდა გვქონდეს მათთანაო“.

თუ გადაჭარბებული არაა პრეზიდენტის აზრი, სწორედ საუცხოვოდ წასულა ყუბის რესპუბლიკის საქმეები.

ნარკვევი

„ცნობის ფურცლის“ ამა წლის 1862 ნომერში დასტამბული იყო სურამიდგან გამოგზავნილი წერილი, სადაც სხვათა შორის იყო ნათქვამი:

„სომხური სკოლა, თუ კიდევ შეიძლება ეს სახელი დავარქვათ, უფრო უარესს მდგომარეობაშია. არც სახლი, არც ჭერი, არც დო და არც ქუმელა. დონდლაობს ისე სახელისთვის, ტერ-ოსეფას „ჟამანა-ჟამანაკისთვის“. წინად უფრო თითქო გვარიანად მიდიოდა საქმე, პოლიტიკისა მაინც, თუ პედაგოგიისა არა. წინად თუ ცოტაოდენს სომხურს აზეპირებდნენ, დღეს აღარც სომხურია, აღარც რუსული, სამშობლო ენას (ქართულს) ხომ თუ ჩუმად შეისწავლის ვინმე დავთრების დასაწერად, თორემ ცხადლივ ტერ-ოსეფას მწყემსური განრისხებისა ეშინიანთ“.

„ნორ-დარს“ არ ეპიტნავა, როგორ თუ სურამელი სომხების სამშობლო ენა ქართულიაო და ბრძანა ამა ენკენისთვის 14-ს:

„მაშასადამე ტერ-ოსეფა სურამის მკვიდრ სომხებს უშლის სურამის სომეხთა სკოლაში ისწავლონ თავიანთი დედა-ენა—ეხლა ქართულიო და ასეთ კორესპონდენციას ადგილს უთმობს, ის გაზეთი, რომელიც ლამაზის პასუხით გაკვეთილს აძლევს თავისს უფროსს ძმას „ივერიასაო“.

რასაკვირველია „ნორ-დარისთვის“ სასიამოვნო იქნება, ისე, როგორც „მშაკისთვის“ არის, თუ ჩვენს უმცროსს ძმას „ცნობის ფურცელს“ გონების თვალი ისე დაუდგება, რომ ქართველ გრიგორიანთა სამშობლო ენად აღიარებს სომხურსა, რომელიც, მხოლოდ რჯულის ენაა და არა ერობისა. ამას წინად არ იყო? „ცნობის ფურც.“ ამბად მოიტანა განსვენებულის გრ. არწრუნის წინადადება, თუ ტფილისში უნივერსიტეტი გაიხსნა, რუსულად და სომხურად უნდა იყოს მეცნიერების სწავლებაო და შენიშნა, ტფილისის უნივერსიტეტში სწავლება რომ სომხურად იყოს, ეს ისეთი წინადადებაა, რომელსაც ვერ დაეთანხმება ვერც ერთი ქართველი, რაც უნდა ერთობის მომხრე იყოს იგიო („ცნ. ფ.“ № 1903). ცხადია არც ეს იამებოდა „ნორ-დარს“, რადგანაც ესეც ულამაზოდ არის ნათქვამი, მაგრამ გვაკვირვებს თვითონ „ცნობის ფურცლის“ მწერალთა საქციელი. დალოცვილებმა ან სულ „ლამაზ-ლამაზი“ სიტყვა ხარჯონ ქართველთა და სომეხთა ურთიერთობის საქმისათვის, რომ კაი ბიჭებად გამოჩნდნენ „მშაკისა“ და „ნორ-დარის“ თვალში, ან სულ ულამაზო. თორემ რასა ჰგავს? დღეს თუ „ნორ-დარმა“ დაუყარა საკენკი, ხვალ „მშაკიც“ დაუყრის და უფროსი ძმის „ივერიის“ „ლამაზი“ მოპასუხის სახელი გაუტყდება.

თეატრი და ხელოვნება

თუმცა საოპერო დასის პირველი წარმოდგენის შთაბეჭდილება სასარგებლო არ იყო ამ დასისათვის, მაგრამ, როგორც მოვუღოდით, უკანასკნელმა ორმა წარმოდგენამ მთლად დაავიწყა მსმენელებს და მაყურებლებს ის პირველი შთაბეჭდილება. ისეთი მწყობრი წარმოდგენები, როგორიც იყო ეს ორი წარმოდგენა, დააკმაყოფილებდა თვით დიდს წუნიასაც-კი. რაღა ვსთქვათ პირველ როლების ამსრულებლებზედ „ევგენი ონეგინში“, ბოლუიანოვზედ? და „პიკის ქალში“ ბონაჩიჩზე? მათი წარჩინება აღემატება ყოველს მოლოდინს და მთელს მათს ძალ-ღონესაც-კი. საზოგადოებამაც აკი დააჯილდოვა კიდეც ეს არტისტები ესტეტიურად დატკბობისათვის. ბოლუიანოვმა „ევგენი ონეგინში“ ძალიან გამოიჩინა თავი. საზოგადოებამ საერთო თხოვნით არტისტს გაამეორებინა პირველი სიმღერაც „ნუ, ნუ იტყვით უარს, თქვენ წერილს მწერდით“ და ბოლო სასიმღეროც, როდესაც ყველგან იმედგაწყვეტილი და ცხოვრებისაგან დაღალული ონეგინი მეუღლისზედ შეჰხვდება მოულოდნელად ტატიანას „არა, ეჭვს გარეშეა“. არტისტის თამაშობას თავისებურობაც ეტყობა და სჩანს, რომ მას მანასავით არ გადუღია სხვისაგან მიხვრა-მოხვრა, რაც ესე ხშირია ხოლმე არტისტთა შორის და ჩაჰკვირვებია თავის როლს. ესევე უნდა ითქვას „პიკის ქალში“ უმთავრეს როლის ამსრულებელზედ ბ-ნ ბონაჩიჩზედ, რომელმაც გერმანის როლი არტისტულად აასრულა. ბონაჩიჩს ისეთი ხმა აქვს, რომლისთანაც ამ სამი-ოთხის წლის განმავლობაში ქალაქის საზოგადოებას არ გაუგონია; ამას ზედ დავუმატოთ ზომიერი ტემპერამენტიც, გარეგანი მოხდენილი შეხედულებაც, დაკვირვებული მიხვრა-მოხვრა, თავის შეკავება გატაცების უმთავრეს მომენტებში და ვდარწმუნდებით, რომ მაყურებლებს და მსმენელს გამოცდილ და ჭკვიან არტისტთანა ჰქონდა საქმე.

ხონი. უეჭველად მოგეხსენებათ, როგორ გადააჭარბა ყველა დაბებს და სოფლებს ხონმა განათლებითა და განვითარებით. აქ არსებობს ორ-კლასიანი, საეკკლესიო, საშუალო სასწავლებლები; არის აგრეთვე სამკითხველო და თეატრი. ამ თეატრს ამ ზაფხულობით ხშირად ეწვეოდა ხოლმე ალექსი-მესხიშვილი თავის დასით. წარმოდგენები ხშირად იმართებოდა და დიდად ასიამოვნებდა ხალხს და თეატრსაც ფული რჩებოდა. შემდეგ სცენის მოყვარე ყმაწვილები წავიდ-წამოვიდნენ თავიანთ საქმეებზე და თეატრი გადასცეს წინანდელ თავმჯდომარეს. მას შემდეგ თეატრის საქმე კარგად ვერ მიდის. დიდად სასურველი იქნებოდა, რომ თეატრის საქმე ისევ ბ-ნ შავდიას ეთავა და მის მიერვე დაწყებული საქმე მასვე დაემთავრებინა.

ახლობელი.

ბიბლიოგრაფია.

„თანამედროვე ქალაქი“ ევლახელ ქართველების საფასით გამოცემული წიგნაკი.

ზემორე მოყვანილ სათაურით ამ დღეებში დაიბეჭდა ქუთაისში სახალხო-სამეცნიერო წიგნაკი პროფესორის ემილ ვენდერველდესი. ბელგიელ პროფესორის სამეცნიერო წიგნაკი ერთ მეტად მწვავე საკითხს არკვევს დღევანდელის ცხოვრებისას; სახელდობრ, იმაში მოთხრობილია თანდათანი განვითარება სხვა-და-სხვა ევროპიულ ქვეყნებში „თანამედროვე ქალაქისა“, რომელიც თვისის ძლევა-მოსილებით წინუძღვის კაცობრიობის კულტურულ განვითარებას. წიგნაკი ადვილ-გასაგების ენითაა დაწერილი და ფრანგულიდგან ქართულათაც შესაფერის ენით არის კანდელის მიერ ნათარგმნი. ფასითაც ეს წიგნაკი ყველასათვის ხელმისაწდომია—სულ ორი შაური ღირს.

სასურველია ევლახელ ქართველებს წამბაძველნი გამოუჩნდნენ, იმათსავით ერთად მოიკრიბონ თავი და სასარგებლო წიგნები ჰბეჭდონ ან ყმაწვილებისათვისა და ან სახალხო საკითხავად გამოსადეგი.

„ივერიის“ ფოსტა:

თელავს. მიპატიჟებულებს: თქვენი პასუხის პასუხი არ იბეჭდება. თუ კორესპონდენციას გამოჰგზავნით, სუფთად გადაწერილი გვიგზავნეთ ხოლმე.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

20 სეკდემბერი

კონსტანტინეპოლი. სალონიკის ვალი იუწყება, რომ მთაში გახიზნულ სოფელ იოვარჩიკის (ვადონიიკის ოლქის) მცხოვრებნი შინ დაბრუნდნენო. შეიწყნარეს თხოვნა იმ ქრისტიანეთა და მაჰმადიანთა სოფლებისა, რომელთაც შიში მოელოდათ. მონასტირის ვალი იუწყება, ბოლგარულ ბრბოთ ჯარი სდევნისო. ორივე ვალი იმედოვნებს, მალე შევძლებთ ავაზაკთა მოქმედების ალაგმვასაო. ოსმალეთმა სასტიკი ღონისძიება მიიღო პოლკოვნიკის იანკოვის წინააღმდეგ, რომელიც ბრბოთა მოქმედებას ხელმძღვანელობს. როგორც ისმის, იანკოვი მონასტირის ვილაიეტშია. ოსმალეთი ოფიციალურად აცხადებს, უცხოელ გაზეთების მიერ გავრცელებული ამბავი ვილაიეტებში საქმის ვითარების შესახებ, გაზვიადებულიაო. ბრბოთა მოქმედების ალაგმვა ძალიან ჩქარა შეიძლება, თუმცა ქრისტიანეთა, მაჰმადიანთა და სოფლელთა დასამშვიდებლად ხანგრძლივი დროა საჭირო.

ბელგრადი. როდესაც პარიჟიდგან საკეთილო ამბავი მოვიდა ბოლგარიის 60 მილიონიან სესხის შესახებ, მინისტრ-პრეზიდენტმა პარიჟში დააპირა წასვლა; მაგრამ მინისტრთა საბჭომ დაადგინა სინდიკატის საბანკირო კანტორას ერთხელ კიდევ მოსთხოვოს დაუყოვნებლივ შეიტანოს გადასახდელი ავანსი 15 მილიონი.

ბურგასი. ბურგასში მიმავალს დიდ მთავარს დიდ-ძალი ხალხი დახვდა, ალტაცებით ეგებებოდა და გზას ყვავილებით უფენდა. ბევრ ადგილას ყვავილებითა, მწვანითა და

რუს-ბოლგარიის გერბებით მორთული კამარები გაჰმართეს. ყაზანლიყში ქალაქის მოურავმა სიტყვა წარმოსთქვა და პურ-მარილი მიართვა . ბურგასიდგან დიდი მთავარი „კუბანეც“-ის გემით გაემგზავრა.

ათინა. საბერძნეთის მონასტირელ ელჩს ბიტოლის ბრძანება მიუვიდა დაუყოვნებლივ გაეშურე და შენს ბინაზედ დაბრუნდიო.

ვაშინგტონი. კრეისერ „ცინცინატ“-ის უფროსმა განაცხადა, რომ პანამის ყურეში არავითარ მოქმედების ნებას არ მივცემ თვით პატარა სამხედრო გემებსაც-კი, სულ ერთია, —ვისაც უნდა ეკუთვნოდნენო. ამ გემებს თოფის სასროლზედაც არ მივუშვებ რკინის გზის ლიანდაგსა, გემთ-საშენებელსა და იმ გემების სადგომამდე, რომელთაც პანამის რკინის გზის მგზავრები მოჰყავთ და საქონელს ეზიდებიანო.

პოლტავა. 17 სეკდემბერს, ღამე, კრემენჩუგში განიზრახეს დონის ყაზახის მე-12 რაზმის ესაულის ფილიმონოვის მოკვლა; ფილიმონოვმა ცოლი და ორი ბავშვი რაძივილში გაისტუმრა, თითონ 7 წლის შვილით ერთად ნაშუაღამევის 1 საათზე დაიძინა. დირაჯებმა ბერესტოვმა და ლოხვინოვმა ბავშვის ყვირილი გაიგონეს და როდესაც შევიდნენ, ფილიმონოვი გასისხლიანებულის სახით დახვდათ. სახის ძვლები დალეწილი ჰქონდა, მარცხენა თვალი—გამოთხრილი. უბედური ჯერაც გონს არ მოსულა; იმისი მდგომარეობა უიმედოა. ბალიშ ქვეშ 500 მანეთი ჰქონია და ეს ფული აღარა სჩანს. ქისა ჰაში იპოვნეს, იქვე ნახეს რკინის კეტი, ავაზაკობის იარაღი. ორივე დარაჯი დააპატიმრეს.

პეტერბურგი. ხოლერა ბაიკალის იმიერ მხარეს სრულიად მოისპო 1 სეკდემბრიდამ. ამურის ოლქში, ქ. ბელოგოვეშჩენსკს ორი კაცი გახდა კვლავ ავად 14 და 15 სეკდემბერს. ზღვის პირის ოლქში ხოლერა სამს ქალაქშია. კვანტუანისკენ თითქმის მოისპო, პორტ-არტურს 8-დან 14 სეკდემბრამდე 14 გახდა ავად, წინა კვირაში-კი 17. მანჯურიაში ხოლერა გირინსა და ინკოუს არის. ამ ჟამად შიში ხოლერის შემოტანისა კორეიდან არის. ხოლერამ იქ ჯერ სეულს იჩინა თავი მცირედ აგვისტოში და ახლა გაძლიერდა მეტად. განკარგულება იქმნა მოხდენილი, რომ კორეა გამოცხადებულია ხოლერის მხრივ საშიშ ქვეყნად. კაიჯას და ახლო-მახლო სოფლებში, საცა ჩინელები სცხოვრობენ, რამდენიმე შემთხვევა იყო შავის ჭირით ავად გახდომისა. დაწესდა სამკურნალო ზედამხედველობა იმ ჩინელთათვის, რომელნიც მოდიან კაიჯაუდან რკინის-გზით. მათ ბარგს დეზინფექციას უკეთებენ. მომზადებულია სახლები ავადმყოფთა განმარტოვებისათვის. ამას გარდა, სრულიად აღკრძალულია მიღება იმისთანა საქონლისა რკინის-გზაზედ, რომელსაც შესაძლოა მოჰყვეს ჭირი. ოდესაში ჭირის მხრივ საეჭვო ავადმყოფობა 11—18 სეკდემბრამდე კიდევ 6 კაცს აღმოაჩნდა. მოკვდა მათ შორის 3. სულ 28 მაისიდგან ავად გახდა 38, მოკვდა 13. საჭიროდ იქმნა ცნობილი, რომ საფუძვლიანი დეზინფექცია უკეთდებოდეს იმ სახლებს, საცა ჭირი ჩნდება, იწყვიტებოდეს ვირთაგვები, რაც შეიძლება ბლომად და ამას გარდა გაძლიერდეს სასანიტარო ზედამხედველობა ქალაქში. ამ ჟამად თითოეულად შინჯავენ სახლებს ყველას უკლებლივ და თან ამოწმებენ იმათ ჯანმრთელობას, რომელნიც სანიტარულის მხრივ უვარგისს სადგომებში სცხოვრობენ.

სევასტოპოლი. მათი უდიდებულესობანი ამალითა და იმ პირთა თანხლებით, რომელნიც დაესწრნენ ხერსონესში, გარდა გრადონაჩალნიკისა, მიბრძანდნენ ბახჩისარაიში 12½ საათზედ. საიმპერატორო მატარებლის მოახლოების დროს გაისმა ხალხის განუწყვეტელი „ურა“. მათ უდიდებულესობათ შეეგებნენ გუბერნიის უფროსი კამერგერი ტრეპოვი, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი სკადოვსკი, მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, თავმჯდომარენი საერო გამგეობათა, მე-13 დივიზიის უფროსი გენერალი ცერპიცკი, 1 ბრიგადის კომანდირი გენერალი სოლოგუბი, უფროსი ჟანდარმთა სამმართველოსი გენერალი ტრუბნიკოვი, ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელნი და ქალაქის თავი დავიდოვი, რომელთაც მიართვეს პურმარილი. გუბერნატორი და თავად-აზნაურთა წინამძღოლი ღირს იქმნენ მშვენიერის თაიგულისა. მათი უდიდებულესობანი ახდილის ეტლით მობძანდნენ ხანის სასახლეში, სადაც მათ მიეგებნენ წარმომადგენელნი თათრებისა, ბერძნებისა, კარაიმისა და ებრაელებისა. სასახლეში იყო გამოფენილი ნიმუშები შინა მრეწველობისა. აქედამ მათი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ უწინდელს ძველს კარაიმის ქალაქ ჩუფუტ-კალეში, სადაც მათ შეეგება ხახამი პამპულოვი, ნახა თორა, რის შემდეგაც მათ უდიდებულესობათ მიიღეს კარაიმის საზოგადოებისაგან მირთმეული საუზმე და 4 საათზედ წაბრძანდნენ მიძინების სკიტში და ზემო-ეკკლესიაში მოისმინეს პარაკლისი. ქალაქი სადღესასწაულოდ არის მორთული და აღვსილია გამხიარულებულის ხალხითა. 6 საათზე მათი უდიდებულესობანი დაბრუნდნენ სევასტოპოლში, საიდამაც კატერით გადაბრძანდნენ საიმპერატორო იახტა „შტანდარტზედ“. „ურას“ ძახილი არ შეწყვეტილა დიდ-ხანს.

როსტოვი დონისა. სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და მრეწველობის წარმომადგენელთა ბჭობაზედ გამოირკვა, რომ როსტოვს დიდი მნიშვნელობა ჰქონია ხორცის ვაჭრობის საქმეში. განზრახულია ახლა გაიმართოს დიდი საყასპოები. დაკლულ საქონლის გაყინული ხორცი გაიგზავნება ხოლმე შიდა რუსეთში და საზღვარ-გარეთ. იყო ბჭობა პურის ვაჭრობის შესახებაც. თავმჯდომარეობდა თავადი შჩერბატოვი. დაესწრო ბჭობის ვაჭრობის განყოფილების გამგე მიხნევიჩი, რომელმაცა სთქვა, რომ, მოველ, რათა გავიგონო ცხოველი სიტყვა აქაურ პურის ვაჭრობის საჭიროებათა შესახებაო და შევიტყო, რა უნდა იზრუნოს კაცმა მის განსაკარგებლადაო. ბჭობამ დაასახელა რამდენიმე ღონის-ძიება.

კონსტანტინეპოლი. ჯავშნიანი ხომალდი „გიორგი ძლევა-შემოსილი“, რომელსაც თან მისდევდა სტაციონერი „კუბანეცი“, მივიდა ბიუკ-ლიმანს. აქ ელოდებოდნენ იახტა „ფუადზედ“ ხონთქრისაგან დანიშნულნი ტევფიქ-ფაშა, შაქირ-ფაშა, ტუხან-გალიბ და გენერალი ახმედ-ალი და სტაციონერ „კოლხიდაზედ“ ელჩი ზინოვიევი და წევრნი საელჩოსი. დიდის თავაზიანობით მიართვეს სალამი დიდს მთავარს. ბოსფორში რომ გაიარა გემმა, შადლუხი გაიმართა. ნავთსადგურში მისვლისას, დიდი მთავარი გადაბრძანდა ზღვის სანაპირო ქუჩაზედ, დოლმაბახჩას. აქ სამხედრო სალამი მიართვეს. დიდი მთავარი გაემართა ილდიზ-კიოსკში ეტლით, რომელშიაც ოთხი ცხენიება წყვილ-წყვილად და რომელსაც გარს ეხვია ესკადრონი შუბებით შეიარაღებულ მხედართა. თან ახლდა ამალა და წევრნი საელჩოსი. სამხედრო პატივისცემის შემდეგ ხონთქრის მხრივ, რომელსაც გარს ერტყნენ კარის-კაცნი და მაღალ-ხარისხოვანნი გვამნი, გულითადის დარბაზობით იქმნა მიღებული დიდი მთავარი. შემდეგ მან წარუდგინა ხონთქარს თავისი ამალა და გამოეშურა მერასიმ-კიოსკში, რომელიც ილდიზ-კიოსკის სასახლის ახლოა. ხონთქარმა დაუყოვნებლივ გადაუხადა დარბაზობა.

სამ-ოთხ დღეს აქ ყოფნის დროს დიდი მთავარი და მისი ამალა იცხოვრებენ მერასიმ-კიოსკში. დიდ მთავართან დანიშნულნი არიან ახმეტ-აღა და რამდენიმე ადიუტანტი.

უტრეხტი. პრეზიდენტად ნამყოფი კრიუგერი 1 (14) ოკდომბრისას მიდის მენტონაში.

ნიჟნი-ნოვგოროდი. 345 გლეხს, რომელთაც ჰბრალდებოდათ თვითნებლობით ხორბლის გატანა მაღაზიებიდან, გამოეცხადათ განაჩენი: ორასზე მეტი მათგანი დააჯარიმეს, მცირეწლოვანნი და დედაკაცნი გაამართლეს.

სევასტოპოლი. მობრძანდა დიდი მთავარი პეტრე ნიკოლოზის ძე და გემით იალტაში გაემართა.

სევასტოპოლი. მოვიდა ზღვათა სამინისტროს მმართველი, რათა დაესწროს გემის „ოჩაკოვის“ ზღვაში ჩაშვებას.

ხარკოვი. გაიხსნა შინა-მრეწველობის გამოფენა მაზრის ერბოსი. ექსპონატები ბლომადაა.

კონსტანტინეპოლი. ოსმალეთის გაზეთი „სერვეტი“ ამბობს, რომ მოსვლას დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისას კონსტანტინოპოლში სახეში აქვს გაამტკიცოს მეგობრული განწყობილებანი ორთა მეზობელ იმპერიათა შორისო.

21 სეკდემბერი

სევასტოპოლი. იახტა „თამარა“ მათი უდიდებულესობით მოვიდა ჩრდილოეთის ზღვის ყურეს. ზღვით სეირნობამ 25 მინუტი გასტანა. 5 საათსა და 34 წამზედ მათი უდიდებულესობანი „შტანდარტზედ“ დაბრუნდნენ. ნავთ-სადგურზედ და ზღვის პირას მათს უდიდებულესობას „ურას“ ძახილით დაუხვდნენ.

სევასტოპოლი. დილის ათის ნახევარზედ მათი უდიდებულესობანი მობრძანდნენ მცირე საგოსპიტლო ნავთ-სადგურზედ, საიდგანაც წაბრძანდნენ საზღვაო გოსპიტალისკენ. თან ახლდნენ უფროსი კომანდირი შავის ზღვის ფლოტისა და უფროსი დოქტორი. მათ უდიდებულესობათ შემოიარეს პალატა და სტცვლების სარეცხი ოთახები, მოიკითხეს ავადმყოფნი და დაწვრილებით გამოჰკითხეს მათი ამბავი. თერთმეტის ნახევარზედ მათი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ „შტანდარტ- ზედ“. გემებზედ მყოფი რაზმები მუსიკას უკრავდნენ და „ურას“ იძახდნენ.—მათ უდიდებულესობათ დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისურთ დაათვალიერეს 2 საათ. და 35 წუთზედ „როსტისლავი“, რომლის კომანდირად იმყოფება დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე. მათ უდიდებულესობათ ერთ საათს დაჰყვეს ამ ჯავშნიან ხომალდზედ.—მათნი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ და ინახულეს შავის ზღვის ფლოტის კომანდირისა ,,ჭოლანდია‘‘. იქ მათ მიეგება უფროსი გამგე საზღვაო სამინისტროსი და უფროსი გამგე საზღვაო სამინისტროსი და უფროსი კომანდირი შავის ზღვის ფლოტისა მეუღლითურთ. აქედგან მათნი უდიდებულესობანი საღამოს 5 საათზედ იახტა ,,თამარათი‘‘ წაბრძანდნენ, დაჰყვეს-რა ,,ჭოლანდიაში‘‘ ნახევარ საათს.

ლონდონი. ელჩის სიამის მოლაპარაკება ინგლისის მთავრობასთან სიამის საქმეების შესახებ კანდიდატის და ტრენგანუს თაობაზედ დამთავრდა და მორიგებას ამ დღეებში ხელს მოაწერენ. რადგან ინგლისს სურს, რომ სიამი ხელ-შეუხებელი დარჩეს, არ უნდა, რომ კელატანი და ტრენგანუ მოწყვეტილი იყოს სიამსა, იმ აზრით, რომ სათანადო მართვა იმათი უზრუნველ ჰყოფს ინგლისის ვაჭრობის აღორძინებას; ინგლისის ვაჭრობას უნდა დაეთმოს ისეთი შეღავათი, როგორც ვაჭრობას ბანგკოკზედ.

პეტერბურგი. მთავრობის განკარგულებათა კრებულში დაბეჭდილია, რომ სახალხო განათლებისთვის მზრუნველნი საზოგადოებანი შინაგან სამინისტროს უწყებიდგან გარდაეცა სახალხო განათლების სამინისტროსა.

პეტერბურგის ბირჟა, 17 სეკდემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,90
ბერლინში 100 მარკაში	
პარიჟში 100 ფრანკში	37,35
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში ,,	46,25
ჯარიჟში ,,	37,57½
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97⅛ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	98¾ გაყ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	465½ წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	354½
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	290½ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	87¼ წვ. გაყ.
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	82⅜ წვ. გაყ.
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ძმ. პაებინობელის სანავთო მრეწვ.	—
იები აქც ,, „ „	—
,,კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	169 წვ. გაყ.
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	363½ წვ. გაყ.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბ ა ქ ო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბ ა თ უ მ ი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბ ო რ ჯ ო მ ი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე)	9 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ
სამგზავრო „ „	6 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

სასამართლოს შესახები ცნობანი.

ტფილისის სასამართლო პალატის 1-ლ დეპარტამენტში 21 სეკდემბრისათვის დანიშნულია შემდეგ საქმეთა განხილვა:

1. პავლე გვარამიასა და რომან მახარაძეს საკასსაციო საჩივარი 300 მან. ჯარიმაზედ.
2. აზნაურის, მილიციის ობერ-ოფიცრის სტეფან შავარდნაძის და სამსონ ჩიქოვანის დავა 19 მანეთვალის პროცენტზედ.
3. პეტრე და მაქსიმე გურცკაიათა და თომა გაგცასა და მართა ანჯაფარიძის დავა 1,560 მან.
4. ოლგა და გრიგოლ გოგოლაძეების საჩივარი ტფილის-ყარსის რკინის გზის მმართველობაზედ 472 მან. 62 კ. შესახებ.
5. თ-დ ვარდებულ, ანტონ და სხვ. აფაქიძეებისა და ბესარიონ და სხ. დადიანების მამულებზედ დავა.
6. ბაკო გარუჩავას და კიკა პონიას ს. ზუგდიდში მიწის ნაწილზედ დავა.
7. დავით და ტატო გოგიაშვილებისა და თარგელ სრესულის დავა 20 მ.

საკასაციო საჩივარი ივანე შანავაძისა, რომელსაც მაჰმად რიზა ოღლი ედავება 43 მან. 40 კაპ. კირისთვის.

განცხადება

ქირავდება

იაფად 4 ოთახი ყოველგვარ მოწყობილობით თითქმის შუაგულ ქალაქში, ეგზარხოსის მოედანზედ, სახლი თავ. შერვაშიძისა, № 14.

ქ. გორში

სამეფო ქუჩაზედ, არჩუაძის და მაისურაძის წიგნის მაღაზიაში ისყიდება, დაკლებულ ფასად, შეგირდებისათვის ყოველ გვარი სახელმძღვანელო წიგნი.

(30—ნ.—30)



მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ოდობრინი“ მ. ვ. ლებედევისა.

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—საათფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(33—ნ.—25)

GRAND PRIX
PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К°

Духи
„Иванъ да Марья“

ღვთის-მოყვარულთა ქრისტიანეთა მიმართ

სოფელი ნაღვარევი, რომელიც მთიულეთშია, დარჩა უეკკლესიოდ, ხალხი-კი აქ მეტად ღარიბია და დავიწყებული ყველასაგან. 100 კომლამდე მცხოვრებელია, მაგრამ ორასი კომლიც რომ იყოს, რა მოახერხოს ასეთმა ბეჩავმა ღარიბ-ღატაკმა მთიულმა ხალხმა? იქამდე ღარიბნი და საწყალნი არიან, რომ წლითი-წლამდე მათი საზრდო მხოლოდ სიმინდი და ქერია, რომელსაც ყიდულობენ ქ. კავკავში 110 ვერსის მანძილზედ და ტანჯვა-ვაებით გადმოაქვთ თავიანთ სახლში.

ამიტომ განვიზრახე მოგროვება ფულისა და აგება ეკკლესიისა. ამ აზრით გამოვითხოვე წიგნი მათ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის ალექსისაგან, რომ შეწირულებითა და შეწევნითა ხალხისათა ავაშენო ნაღვარევის სამრევლოში სახლი ღვთისა, წმ. გიორგის სახე ლობაზედ. ვიმეორებ ამ თხოვნასა, ვბედავ და ვაწუხებ ყველა ღვთის მოყვარულ მართლ-მადიდებელ ქრისტეანეთა და ესთხოვ უმორჩილესად შემწეობა აღმოუჩინონ ამ წმიდა საქმესა.

ჩემი ადრესი:

Ст. Млеты. Воен.-Груз. дор., Т. губ. Сборщику доброхотныхъ пожертвованій на постройку новаго храма въ сел. Нагвареви, причетнику Алексѣю Арганашвили.

ბორჩალოელ ქართველთა გულის-შემატკივართა მიმართ.

ახალშენ ეკატერინენფელდში (ბორჩალოს მაზრა), სადაც ნემცებთან ერთად მრავალი ქართველობა სცხოვრებს, გადმოსახლებული სოფლად სამინელის გაჭირვებისა გამო და მკვებავი გატანჯულის ცოლ-შვილისა დღიურის მუშაობით, არ არსებობს ეკკლესია ღვთისა, რომელშიაც ნივთიერად დამარცხებულ ერს შეეძლოს აღორძინდეს სულიერად მაინც და დააკმაყოფილოს თავისი რელიგიური გრძნობა-მოთხოვნილება.

უეკკლესიობისა გამო ქართველი გლეხი ხალხი და მასთან ყველა ისინიც, რომლებიც მსახურობენ აქ სხვა-და-სხვა მმართველობაში, დაიარებიან ნემეცთა ეკკლესიაში, სადაც თვით მოზრდილები და მეტადრე, ნემცურის ენის მცოდნე ახალთაობა, ისმენს ლიუტერის განდგომილს სწავლას.

ქრისტეს მიერ საყვარელნო ძმანო! მოგეხსენებათ, რა შედეგსაც მიგვწევს ეს სამწუხარო ამბავი, თუ ასე გაგრძელდა. ასაცილებლად იმ შემაძრწუნებელ შედეგისა, ჩვენ მოვიწადინეთ აღვაშენოთ ჳ მართლ-მადიდებელთა ეკკლესია. მთავრობამ უყურადღებოდ არ დასტოვა ჩვენი კეთილი დაწყობილება და იმის დახმარებით შევკრიბეთ ორმოც თუმნამდე. ადგილობრივი მემამულენი გვპირდებიან ტყე-მასალას და ასაშენებელ ქვას უსასყიდლოდ, რომლის მოტანა იკისრეს თვით ნემცებმა. ასე, რომ განსახორციელებლად ამ აზრისა, გვჭირდება კიდევ იმოდენი ფული, რაც შეკრებილია ამ ჟამად. ეკკლესია იქმნება შინაურის ეკონომიით აშენებული, რომლისათვის კომიტეტმა შეიძინა სამასი ოთხ.-კ. საჟენი მიწა შუა ახალშენში უმაღლესის მთავრობის ბრძანებით.

ამისათვის, როგორადაც თვით ქართველი ერი, აგრეთვე მთავრობისაგან დადგენილი და დამტკიცებული კომიტეტი იერის მუხლს გულისა თვისისა და ღმობიერად სთხოვს ყველა ქრისტეს მოყვარე ქართველს, რომელნიც-კი ჩახედულ არიან ბორჩალოელ ქართველთა ერის მწარე ხვედრ ცხოვრებაში,—აღგვიმართონ მკლავი მოწყალებისა და შეგვეწივნენ ღვთის გულისათვის, ვისაც რით შეუძლიან. მათი სახელები იქნება სამუდამო მოსახსენებლად აღბეჭდილი მომავალ ეკკლესიის საკურთხეველსა შინა.

თავმჯდომარე კომიტეტისა, ქვეშის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიის მღვ. სტეფანე ბაიდოშვილი.

კომიტეტის წევრნი:
მკურნალი—ვლ. ინაევი
გამომძიებელი—Мих. Вас. Чиловъ
ბოქ. გიორ. ი. თ. ანდრონიკაშვილი
მწარმ. საქ. ი. ი. თ. ციციშვილი.

ადრესი შემოწირულებათა: *Черезъ Шулаверы, Комитету по постройкѣ Екаиненфельдской православной церкви.*

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

მ. კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова . . . „ 30

საბუხგალტერო კლასები

ტფილისის საკომერციო სასწავლებელთან

(წელიწადი მესამე).

სწავლა დაიწყება 2 ოქტომბერს. კურსი განგრძობილ იქმნება არა ნაკლებ 6 თვისა. **მეცადინეობა საღამოობით, კვირაში სამჯერ.** მსმენლებად შეუძლიანთ იყვნენ **წერა-კითხვის მცოდნენი ორივე სქესისა.**

ფასი 40 მანეთი მთელის კურსისათვის.

თხოვნები ტფილისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორის სახელზედ მიიღება ყოველ-დღე, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე, საკომერციო სასწავლებლის შენობაში (ჩუღურეთი, რიყის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 11). (8—ნ.—5)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Сентября 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.